საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) 332^1 მუხლის:
ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის №76-Iს დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულის მიმართ, თუ ეს განაჩენი გამოტანილია აღნიშნული დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს 2018 წლის 1 ივლისამდე წარედგინება.“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. თუ სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობა ან საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღნიშნული შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და მიუთითა სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას ეს შუამდგომლობა, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს ზეპირი მოსმენით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

16 ივნისი 2017 წ.

N1047-IIს